საპროტესტო აქციების მონიტორინგი

შუალედური ანგარიში

2021

ავტორი: გიორგი ტყებუჩავა

რედაქტირება: ალეკო ცქიტიშვილი, გიორგი კაკუბავა

მონიტორები: ანი ფორჩხიძე, თამარ ქურთაული, ნინო ჩიხლაძე

ფოტო ყდაზე: ალეკო ცქიტიშვილის

ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

• ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org

• წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org

• ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrighshouse.org

•სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი:

0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge

ონლაინ გამოცემა ადამიანის უფლებების შესახებ: http://www.humanrights.ge

ვებ-საიტი: hrc.ge

ანგარიში მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი 3

მეთოდოლოგია 3

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო რეგულირება 4

1. დემონსტრანტების ქცევა და სამართალდამცველთა ქმედებები აქციებზე 4
2. სამართალდამცავთა აუცილებლობა და პროპორციული რაოდენობა 11
3. შეკრების მონაწილეთა დაკავების/დაჯარიმების პრაქტიკა 13
4. 5-6 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებული სამართალწარმოება 14
5. სხვა საპროტესტო აქციების მონიტორინგი 15

დასკვნა 17

რეკომენდაციები: 18

შესავალი

შუალედური ანგარიშის მიზანია 2021 წლის საანგარიშო პერიოდამდე საქართველოში გამართული საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას იდენტიფიცირებული სამართალდარღვევების სამართლებრივი ანალიზი და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ქმედებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

დოკუმენტში განხილულია 2021 წლის თებერვლიდან 10 აგვისტომდე თბილისსა და რეგიონებში სამოქალაქო მოძრაობების, პოლიტიკური პარტიების, ე.წ. ულტრამემარჯვენე ჯგუფების, მედიასაშუალებების წარმომადგენლებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიერ ორგანიზებული სოციალური, პოლიტიკური შინაარსისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სხვა სახის საპროტესტო აქციების დაკვირვების შედეგები.

ზოგადი შეფასებით, შეიძლება ითქვას, რომ 2020 წლისგან განსხვავებით[1], საანგარიშო პერიოდში გამართულ აქციათა დიდი ნაწილი დაპირისპირებებით გამოირჩეოდა. ერთი მხრივ, ეს განპირობებული იყო აქციებში მონაწილე აქტივისტთა/დემონსტრანტთა მიმართ სახელმწიფოს მხრიდან შემხვედრი ნაბიჯების გადაუდგმელობით და რეპრესიული პოლიტიკის გატარებით. ხელისუფლების ასეთი პოლიტიკა, ერთი მხრივ, მოიცავდა დიდი რაოდენობით საპოლიციო ძალების გამოყვანას, მშვიდობიანი დემონსტრანტების დაკავებას, რაც მათ მარგინალიზაციას ისახავდა მიზნად, მეორე მხრივ კი - კონკრეტული ძალადობრივი აქციების რეაგირების გარეშე დატოვებას, რაც დოკუმენტში იქნება განხილული.

მეთოდოლოგია

საპროტესტო აქციების მონიტორინგს ახორციელებდა 3 იურისტ-მონიტორი, რომლებმაც შესაბამისი ტრენინგები გაიარეს სპეციალურად მოწვეულ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) ექსპერტებთან[2]. მონიტორები ყოველი აქციის დაკვირვების შემდეგ აფიქსირებენ მიღებულ ინფორმაციას, რომელსაც შემდეგ აჯამებს და ანგარიშებსა თუ ანალიტიკურ დოკუმენტებში ასახავს ანალიტიკოსი-იურისტი.

მონიტორინგის ფარგლებში, ანგარიშებისა და ანალიტიკური დოკუმენტების მომზადებისათვის ძირითად წყაროს წარმოადგენს აქციების დროს მონიტორთა მიერ მომზადებული ანგარიშები, საპროტესტო აქციების მსვლელობისას პროექტის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის, სამოქალაქო აქტივისტებისა და მედიასაშუალებების მიერ გადაღებული ფოტო და ვიდეომასალა.

აქციათა დაკვირვება, ასევე, მიმდინარეობდა დისტანციურად სხვადასხვა ონლაინ-პლატფორმების Live Streaming-ის საშუალებით. დასაკვირვებელ აქციათა დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციას მონიტორები სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის - სოციალური ქსელიდან - Facebook-იდან იძიებდნენ, სადაც ორგანიზატორები გასამართ აქციათა შესახებ ინფორმაციას ავრცელებდნენ.

შუალედურ ანგარიშში შეფასებულია, რამდენად შეესაბამება შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებასთან დაკავშირებული პროცედურები აღიარებულ პრაქტიკას და საერთაშორისო ვალდებულებებს.

---

[1] იხ. საპროტესტო აქციების მონიტორინგი - შუალედური ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020.: https://bit.ly/3CvhLP7

[2] იხ. ინფორმაცია OSCE/ODIHR-ის ტრენინგის შესახებ.: https://bit.ly/2Qmse8R

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო რეგულირება

ქართულ კანონმდებლობაში დეტალურადაა განსაზღვრული შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებით სარგებლობის პირობები[3], მაგრამ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ამ უფლებასთან დაკავშირებული სირთულეები და პრობლემები იჩენს თავს. კერძოდ, ამ უფლებით სარგებლობისას, კანონმდებლობა ირღვევა როგორც შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეთა, ისე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან. სამართალდამცავთა მხრიდან კანონდებლობის დარღვევა, ძირითადად, უფლებამოსილების გადამეტებაში გამოიხატება[4].

საჯარო ცხოვრებაში მანიფესტაციის უფლების ფუნდამენტური მნიშვნელობის გამო, სახელმწიფოს ეკისრება მთელი რიგი პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები, რათა ხელი შეუწყოს და არ დაუშვას მანიფესტაციის უფლებაში თვითნებური და უკანონო ჩარევა[5]. ამასთან, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის. ამ უფლების, ისევე როგორც გამოხატვის თავისუფლების სხვა ფორმების, შეზღუდვა დასაშვებია კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური საფუძვლის არსებობის, სხვა კონსტიტუციური უფლებებისა და პრინციპების უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოს კონსტიტუცია და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონი[6] კანონსაწინააღმდეგო ხასიათის შემთხვევაში უშვებს, შესაბამისი წესისა და პროცედურების დაცვით, აქციის შეწყვეტის შესაძლებლობას. ამასთან, კანონის თანახმად, შეკრება შეწყვეტას ექვემდებარება, როდესაც ადგილი აქვს მოწოდებას საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისაკენ ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთ მოწოდებას, რომელიც არის ომისა და ***ძალადობის პროპაგანდა***, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს[7]. ამდენად, კანონი დადგენილი ლეგიტიმური მიზნის არსებობის შემთხვევაში, შეკრების თავისუფლებაში ჩარევის სამართლებრივ შესაძლებლობას ქმნის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საგულისხმოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Identoba and Others v. Georgia. 2015 წლის გადაწყვეტილებით, ევროსასამართლომ აღიარა, რომ საქართველოს მიერ მშვიდობიანი დემონსტრანტების დაუცველობა არღვევს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) და მე-14 მუხლებს (დისკრიმინაციის აკრძალვა)[8].

1. დემონსტრანტების ქცევა და სამართალდამცველთა ქმედებები აქციებზე

საანგარიშო პერიოდში გამართულ 26 აქციაზე დაკვირვების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ აქციათა უმრავლესობა, დემონსტრანთა მხრიდან, მშვიდობიან ხასიათს ატარებდა. გამონაკლის შემთხვევებში, დემონსტრანტთა ქმედებების მასშტაბი არ აღწევდა იმ ზღვარს, რაც მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის რეალურ საფრთხეს შექმნიდა. რამდენიმე შემთხვევაში, დემონსტრანტთა მხრიდან წინააღმდეგობის გაწევა პროვოცირებული იყო საპოლიციო ძალების

---

[3] იხ. საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, 14.08.1997. : https://bit.ly/3iAEdhK
[4] იხ. საპროტესტო აქციების მონიტორინგი - შუალედური ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020.: https://bit.ly/3CvhLP7
[5] იხ. OSCE/ODIHR, Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, SECOND EDITION, §§ 165-16.: https://bit.ly/3jVlptp
[6] იხ. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონი: https://bit.ly/3Clj6YX
[7] იხ. „შეკრებებისა და მანიფესტაციების" შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი: https://bit.ly/3Clj6YX
[8] Case of Identoba and Others v. Georgia (12 May 2015), application no. 73235/12: https://bit.ly/3jrqdpP

რეპრესიული პოლიტიკის შედეგად. ამ შემთხვევაში, ზოგადი შეფასებით, დემონსტრანტების ქცევა იმგვარი ბუნებისა და ხარისხის იყო, რომ დემონსტრაციაში მათი მონაწილეობა ლეგიტიმური იყო როგორც ეროვნული კანონდებლობის, ისე ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების დაცვის სფეროშიც. ზოგიერთ აქციაზე გამოვლინდა მასშტაბური ხასიათის ძალადობრივი ქმედებები, რაზეც შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს სათანადო რეაგირება არ მოუხდენიათ, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა.

უკანასკნელ წლებში უფლების განხორციელების რეალიზაციის კუთხით მიმდინარე მონიტორინგის შედეგად, პრობლემურ საკითხებად გამოიკვეთა სამართალდამცავთა მხრიდან შეკრების მსვლელობისას დროებითი კონსტრუქციების განთავსების შესაძლებლობის შეზღუდვა და შეკრების არასათანადო და არაეფექტიანი მართვა, აგრეთვე - სპონტანური აქციების ფარგლებში ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვის შეუძლებლობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზი[9].

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ***2021 წლის 19-21 თებერვლის აქციები*** საქართველოს პარლამენტის შენობის წინ, როდესაც აქციების მიმდინარეობისას პოლიციის თანამშრომლებმა დემონსტრანტებს კარვის განთავსების შესაძლებლობა არ მისცეს და 20-მდე სამოქალაქო აქტივისტი, რომლებიც კარვების გაშლას ცდილობდნენ, დააკავეს[10]. გასათვალისწინებელია, რომ ეს აქციები მიმდინარეობდა ფართო ტროტუარზე, ხელს არ უშლიდა ტრანსპორტის მოძრაობას, არ კეტავდა შენობის შესასვლელს და არც დაწესებულების საქმიანობას აფერხებდა. ამდენად, სრულად იყო დაცული შეკრების თავისუფლებით.

ქვეითთა სამოძრაო ტერიტორიაზე აქციების და მანიფესტაციების გამართვისას კარვის, გასაშლელი საწოლის, ბანერების და სხვა დროებითი კონსტრუქციების გამოყენების ამკრძალავი ნორმა საქართველოს კანონმდებლობაში არ მოიპოვება. საქართველოს კონსტიტუცია ამ უფლების შეზღუდვას დასაშვებად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს, თუკი მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. ამასთან, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დროებითი კონსტრუქციების, მათ შორის - კარვის დადგმის აკრძალვას იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელს არ უშლის გზის სავალ ნაწილს[11]. აქედან გამომდინარე, 2021 წლის 20-21 თებერვალს საქართველოს პარლამენტის წინ მიმდებარე ტერიტორიაზე მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელების ფარგლებში კარვების, ტრანსპარანტების, პლაკატების და შეკრებისათვის მნიშვნელოვანი სხვა დროებითი კონსტრუქციების განთავსების უფლების შეზღუდვა და სამართალდამცველთა ქმედებები უკანონო, და არაკონსტიტუციური იყო.

2020 წლის 14 ნოემბერს, ნამახვანჰესის კასკადის მშენებლობის წინააღმდეგ ***სოფელ ჟონეთში აქცია*** *გაიმართა*[12]. აქციის მონაწილეებმა სოფელ ჟონეთში გამავალი, ქუთაისისა და ლეჩხუმის მხარის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა რამდენიმე საათით გადაკეტეს. მათი მოქმედებები არ გასცდენია მშვიდობიანი შეკრების ფარგლებს. ადგილობრივი მოსახლეობა ითხოვდა სამშენებლო სამუშაოების შეჩერებას. საპროტესტო აქციის მონაწილეთა განცხადებით, მშენებლობა მიმდინარეობდა კომპანიისა და სახელწიფოს მიერ გარემოზე ჰესების ზემოქმედებისა და რისკების გამოკვლევის გარეშე. დემონსტრანტები სწორედ ჰესებიდან მომდინარე რისკებისა და მათი შეუფასებლობის გამო გამოხატავდნენ პროტესტს და მოითხოვდნენ ხელისუფლების შესაბამის

---

[9] იხ. „აკრძალული უფლება - დროებითი კონსტრუქციებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენების საკანონმდებლო სტანდარტები და პრაქტიკაში რეალიზაციის პრობლემები", ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021 წ.: https://bit.ly/3jtKddi

[10] სახალხო დამცველის განცხადება: https://bit.ly/3qCTX5F; ადამიანის უფლებათა ცენტრი, პარლამენტის წინ გამართული საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში. ანგარიში მომზადებულია: 21.02.2021.

[11] იხ. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება საქართველოს კონსერვატიული პარტია, საქართველოს მოქალაქეები _ ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. 2011 წელი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე: https://bit.ly/3AXOfQr

[12] ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3q4ogm2

წარმომადგენლებთან შეხვედრას. დიალოგის გამართვის ნაცვლად, ხელისუფლებამ აქცია პოლიციის გამოყენებით დაშალა[13]. იმის გათვალისწინებით, რომ აქციის მონაწილეთა ნაწილი ერთმანეთზე ჯაჭვებით იყო გადაბმული, აქციის დაშლისას ბევრი მათგანი წაიქცა და პოლიციელთა მიერ აქციის ადგილიდან გაყვანისას, დაზიანებები მიიღო. შედეგად, რამდენიმე დემონსტრანტი დაშავდა[14].

სახელმწიფოს ეკისრება მთელი რიგი პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს და არ დაუშვას მანიფესტაციის უფლებაში თვითნებური და უკანონო ჩარევა[15]. ამ ვალდებულებების ნაწილია, მათ შორის ის, რომ ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა უნდა მიმართონ ყველა აუცილებელ ზომას, inter alia, გამოიყენონ დიალოგის და მოლაპარაკების რესურსები, რათა თავიდან აიცილონ შეკრების შეწყვეტა და სხვა თანმდევი შედეგები. შეკრებების დაშლა უნდა წარმოადგენდეს უფლების შეზღუდვის უკანასკნელ საშუალებას[16].

სახელმწიფოს მიერ 14 ნოემბერს სოფელ ჟონეთში მშვიდობიანი აქციის დაშლა მშვიდობიანი შეკრების ბლანკეტური შეზღუდვის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენდა. ბლანკეტურია მიდგომა, როდესაც სახელმწიფოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, ნებისმიერი აქცია დაშალოს ნებისმიერ ადგილზე, ინდივიდუალური გარემოებების შეფასების, საჯარო და კერძო ინტერესების დაპირისპირებისა და შესაბამისი განსჯის გარეშე, თუ რომელი ინტერესია უპირატესი კონკრეტულ შემთხვევაში[17].

2021 წლის 7 თებერვალს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ***სოფელ ნამოხვანში***, „ნამახვანის დიდი ჰესების კასკადის“ სამშენებლო სამუშაოების აღკვეთის მოთხოვნით გამართულ მშვიდობიან საპროტესტო აქციაზე მონაწილეები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან შეიკრიბნენ.

აქციაზე შეკრებილთა მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა სოფელ ნამოხვანში ჰესის მშენებლობის შეწყვეტა და კომპანია, „ენკას“ მიერ მდინარე რიონის ხეობის დატოვება. აქციის მონაწილეთა რაოდენობა აღწევდა დაახლოებით 500 ადამიანს. აქციის ორგანიზატორებმა, მდინარე რიონის მიმდებარედ, მონაწილეთა დახმარებით გაშალეს კარავი. მართალია, თავდაპირველად პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა წინააღმდეგობას, მაგრამ საბოლოოდ ეს წინააღმდეგობა აღმოიფხვრა. მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ისინი განაგრძობდნენ პროტესტს და კარავში გაატარებდნენ მორიგ დღეს (106-ე დღე-ღამე). აქციას მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა.

2021 წლის 12 აპრილს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ***სოფელ გუმათში*** საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, „ნამახვანის დიდი ჰესების კასკადის“ სამშენებლო სამუშაოების აღკვეთისა და რიონის ხეობაში დაბრუნების უფლების მოთხოვნით, შეიკრიბა მოსახლეობა, მშვიდობიანი საპროტესტო აქციის გამართვის მიზნით. აქ წინა დღეს - 2021 წლის 11 აპრილს, მას შემდეგ, რაც მდინარე რიონში პიროვნებამ შეცურა და გაუჩინარდა, პოლიციამ „რიონის ხეობის მცველების“ კარვები დაშალა, რის მიზეზადაც ურთიერთგამომრიცხავ გარემოებებს უთითებდნენ. ერთ-ერთი ვერსიით, კარვების დაშლის აუცილებლობა გამომდინარეობდა მდინარე რიონის ადიდებით და მიმდებარე ტერიტორიის სავარაუდო დატბორვით, ხოლო ნაწილი - მიმდინარე სამძებრო-სამაშველო სამუშაოებს ასახელებდა. საბოლოოდ კი, აქციის ორგანიზატორებმა მიიღეს გადაწყვეტილება აქციის სოფელ გუმათში ჩატარების თაობაზე.

აქციის მონაწილეებს სურდათ სოფელ ნამოხვანში შესვლა, რის უფლებასაც სამართალდამცველები არ აძლევდნენ. რამდენჯერმე სამართალდამცველები და აქციის მონაწილეები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ[18]. ერთ-ერთ ასეთ დაპირისპირებას ადგილი

---

[13] ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3q4ogm2
[14] ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/2JgnZuY; https://bit.ly/3q4ogm2
[15] იხ. OSCE/ODIHR, Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, SECOND EDITION, §§ 165-166. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე:https://bit.ly/3ycJ6m6
[16] იქვე: §§ 165-166.
[17] ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: https://bit.ly/3gkycEF
[18] იხ. დაპირისპირების კადრები სრულად: https://bit.ly/3qCxFlb

ჰქონდა კომპანია „ენკას“ ოფისთან. აქტივისტები ითხოვდნენ რიონის ხეობაში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების შეჩერებას და საკუთარ მიწაზე დაბრუნებას. პროტესტი მოქალაქეებმა მშვიდობიანი ჟესტით - ხელებაწეული ფორმით პოლიციის კორდონთან მისვლით გამოხატეს. აქციის პარალელურად, რიონის ხეობაში სამართალდამცველმა ორგანოებმა მოახდინეს წყლის ჭავლის მანქანებისა და სპეც. დანიშნულების რაზმების მობილიზება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა განაცხადა, რომ მოხდებოდა ყველა იმ პირის იდენტიფიცირება და ყველას დაეკისრებოდა სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ვინც სამართალდამცველებს მიაყენებდა შეურაცხყოფას ან გაუწევდა წინააღმდეგობას. აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ მიზნამიმართულად ხდებოდა მათთვის სახელის შებღალვა, რაც გამოიხატა პოლიციის მიერ კარვების აღების დროს არყისა და ლუდის ბოთლების აქტივისტებისათვის მიკუთვნებაში („ჩადებაში“). აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ვარლამ გოლეთიანმა განაცხადა, რომ ისინი საჭიროების შემთხვევაში გადაინაცვლებდნენ დედაქალაქში და არ დაიშლებოდნენ, ვიდრე მათი მოთხოვნა სრულად არ შესრულდებოდა[19]. აქტივისტებმა მოაწყვეს მსვლელობა ქუთაისიდან ხეობისკენ[20].

უშუალოდ შეკრების ადგილას, სხვადასხვა ლოკაციაზე, მობილიზებულნი იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები. ინფორმაციის გაშუქება ხდებოდა ყოველგვარი შეფერხების გარეშე. საპროტესტო აქციაზე, სამართალდამცავებსა და შეკრებილ აქტივისტებს შორის, რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი ფიზიკურ დაპირისპირებას. კომპანია „ენკას“ ოფისთან შექმნილი კონფლიქტური სიტუაცია ადგილზევე განიმუხტა[21]. აქციის მონაწილეებმა გადაკეტეს საავტომობილო გზა და ითხოვდნენ სოფელ ნამოხვანში შეშვებას[22]. აქტივისტთა ნაწილმა ავტომსვლელობა გამართა ქუთაისის მიმართულებით. ნაწილი კი გუმათში დარჩა. აქციაზე მობილიზებული იყო სამართალდამცველთა დიდი რაოდენობა. წყლის ჭავლის მანქანები და სპეც. დანიშნულების რაზმები არ შეინიშნებოდა[23]. ხალხისა და ავტომობილთა სიმრავლიდან გამომდინარე, გართულებული იყო გადაადგილება და სოფელ ნამოხვანში შემავალი ორივე გზა ჩაკეტილი იყო პოლიციელების მიერ[24].

OSCE/ODIHR-ის სახელმძღვანელო მითითებებით, კარვისა და სხვა დროებითი კონსტრუქციების აგება მოიაზრება მშვიდობიანი შეკრების უფლებით დაცულ სფეროში[25]. აქტი, რომელიც კრძალავდა „კონტროლირებად ტერიტორიებზე“ კარვებისა და სხვა კონსტრუქციების აგებას, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით დაცული მშვიდობიანი შეკრების უფლების საწინააღმდეგოდ იქნა მიჩნეული გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, იმ მიზეზით, რომ კარვის აგებამ, როგორც პროტესტის ფორმამ და საშუალებამ შეიძინა საპროტესტო გზავნილისგან განუყოფელი სიმბოლური მნიშვნელობა[26].

ეროვნულ დონეზე კი, 2016 წლის 31 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ წინასწარი თანხმობის გარეშე კარვის დადგმის განთავსება თავსდება მშვიდობიანი შეკრების უფლებაში. სასამართლომ განმარტა, რომ „შეკრებებისა და

---

[19] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3h7CP5O

[20] ადამიანის უფლებათა ცენტრი, სოფელ გუმათში გამართული საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში. ანგარიში მომზადებულია: 12.04.2021.

[21] ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3wR82zL

[22] ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3uS46gB

[23] იხ. უწყვეტი პირდაპირი ეთერი: https://bit.ly/364wC44.

[24] ადამიანის უფლებათა ცენტრი, სოფელ გუმათში გამართული საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში. ანგარიში მომზადებულია: 12.04.2021.

[25] იხ. Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, second edition, §18, Warsaw/Strasbourg 2010. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bpJ1C4

[26] იხ. Tabernacle v Secretary of State for Defence [2009] EWCA Civ 23 (05 February 2009). https://bit.ly/3bjcv4q. ასევე, იხ. European Commission for Democracy trough law (Venice Commission) and OSCE office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR) guidelines on freedom of peaceful assembly (3rd Edition), Strasbourg/Warsaw, 8 July 2019, para 148. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე: https://bit.ly/3hfX9R2

მანიფესტაციების უფლება მოიცავს შეკრების გამართვის ადგილის, დროის, ფორმისა და შინაარსის არჩევის უფლებას, რაც მოიცავს დროებითი კონსტრუქციების განთავსების შესაძლებლობას”[27].

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საკუთარი მოქმედებების დასაბუთება სრულიად არათანმიმდევრული და არადამაჯერებელი იყო. სავარაუდოდ, იგი მიზნად „რიონის ხეობის მცველების“ მშვიდობიანი და კანონიერი პროტესტის ხელშეშლას ისახავდა, რაც გაუმართლებელი და არაპროპორციული ჩარევაა შეკრების და გამოხატვის თავისუფლებაში. ამაზე ასევე მიუთითებს „რიონის ხეობის მცველების“ მიერ პოლიციისადმი არაერთხელ გაჟღერებული მიმართვა, არსებული კარვების აღების სანაცვლოდ, მიეცათ მათთვის უშუალოდ სოფელ ნამოხვანში, ალტერნატიულ ტერიტორიაზე კარვების გაშლის შესაძლებლობა, რაც შსს-მ დაუსაბუთებლად უგულვებელყო. საბოლოოდ, პროტესტის მონაწილეები იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ სოფელ ნამოხვანში პროტესტის ადგილი და გადასულიყვნენ სოფელ გუმათთან შეკრებილებთან.

აგრეთვე, გასათვალისწინებელია, რომ აქციის ორგანიზატორებისთვის სწორედ სოფელ ნამოხვანის ტერიტორიაზე აქციის ჩატარება წარმოადგენდა გამოხატვის არსებით კომპონენტს, რადგან იმ ტერიტორიიდან უშუალოდ შეეძლოთ ჰესის მოსამზადებელ სამუშაოებზე ვიზუალური დაკვირვება და ამ პროცესის მშვიდობიანი გზით გაპროტესტება. აქციების განგრძობადი ხასიათიდან გამომდინარე კი, კარვები არსებითი ინსტრუმენტი იყო, რათა მონაწილეებს ეფექტიანად ესარგებლათ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით. ამასთან, შეკრება ცალსახად ატარებდა მშვიდობიან ხასიათს და აქციების რამდენიმეთვიანი მსვლელობა სწორედ ამას ადასტურებს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, სამართალდამცავთა ქმედებები უკანონო და არაკონსტიტუციურია.

გაუგებარი და დაუსაბუთებელი იყო სოფელ ნამოხვანის მიმართულებით ბლოკპოსტების მოწყობა და საქართველოს მოქალაქეებისთვის ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა. მდინარე რიონის ხეობაში 2021 წლის 3 აპრილიდან 2021 წლის 18 ივნისამდე28, ვიდრე „რიონის ხეობის მცველებსა“ და მთავრობას შორის ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს წარმომადგენლების მედიაციის პროცესი დაიწყებოდა, განსაკუთრებული საპოლიციო მობილიზება იყო და ადგილობრივებს შეზღუდული ჰქონდათ სოფელ ნამოხვანისკენ თავისუფალი გადაადგილების უფლება, აგრეთვე - სოფელში შეკრებისა და გამოხატვის უფლებით სარგებლობა. ამ ქმედების გასამართლებლად შსს-ს მიერ წარმოდგენილი დასაბუთება ვერ აკმაყოფილებდა უფლებაში ჩარევისთვის საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებების სტანდარტებით დადგენილ საბაზისო მოთხოვნებს29.

2021 წლის 1-5 ივლისს თბილისში პრაიდის მსვლელობის დღესასწაული (Tbilisi Pride) უნდა გამართულიყო. ეს მოიცავდა სამ ძირითად ღონისძიებას ხუთი დღის განმავლობაში, მათ შორის - თბილისში 2019 წელს პირველად გამართული პრაიდის კვირეულის შესახებ დოკუმენტური ფილმის - „ღირსების მარშის“ (March for Dignity) ოფიციალურ პრემიერას (1 ივლისი), „პრაიდ ფესტი“ ადგილობრივი და საერთაშორისო არტისტების მონაწილეობით (3 ივლისი) და ადგილობრივი საზოგადოებრივი მოძრაობების მიერ თანაორგანიზებულ „ღირსების მარშს“ რუსთაველის გამზირზე (5 ივლისი)30.

„თბილისი პრაიდის“ (Tbilisi Pride) მიერ 1-5 ივლისს პრაიდის კვირეულის გამართვისა და 5 ივლისს თბილისში, რუსთაველის გამზირზე პრაიდის „ღირსების მარშით“ დასრულების დაანონსებისთანავე ულტრანაციონალისტური, პრორუსული და საქართველოს საპატრიარქოსთან დაკავშირებული აქტორები გააქტიურდნენ. კვირეულის წინ და უშუალოდ მიმდინარეობისას, ეს ჯგუფები „ღირსების მარშის“ წინააღმდეგ მოქალაქეებს მობილიზაციისკენ მოუწოდებდნენ. აქტორები ტრადიციულ და

[27] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №3/6463–16.
[28] ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3weCLWg
[29] იხ. ,,პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონის 25-ე მუხლი: https://bit.ly/361aTdv
[30] Tbilisi Pride-ის განცხადება სრულად: https://bit.ly/3lyXxhE

სოციალურ მედიაში დეზინფორმაციულ, ჰომოფობიურ, მუქარის შემცველ განცხადებებს ავრცელებდნენ და სიძულვილის ენას იყენებდნენ. მკვეთრად ჰომოფობიური განცხადება გაავრცელა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქომაც31.

5 ივლისის კონტრაქციაზე ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის უპრეცედენტო მასშტაბი დაფიქსირდა. ბოლოდროინდელი სხვა აქციებისგან განსხვავებით, რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციაზე შეკრებილი ცალკეული პირების მხრიდან მედიასაშუალებების წარმომადგენელთა მიმართ განხორციელდა ძალადობრივი ქმედებები და ადგილი ჰქონდა პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტებს. აქციის მონაწილეები სასტიკად უსწორდებოდნენ მედიის წარმომადგენლებს. პოლიცია პასიურად ერეოდა ძალადობრივ ინციდენტებში და არ აკავებდა მოძალადეებს. მხოლოდ მსხვერპლები გაყავდა აქციის ტერიტორიიდან გარეთ.

საბოლოო ჯამში, 2021 წლის 5 ივლისს თავს დაესხნენ კონტრაქციაზე მომუშავე სხვადასხვა მედიასაშუალების 53 ჟურნალისტსა და ოპერატორს[32], ასევე - რამდენიმე მშვიდობიან მოქალაქეს, დაარბიეს ორგანიზაციების - „სირცხვილიას“ და „თბილისი-პრაიდის“ ოფისები. ჟურნალისტებზე თავდასხმები ძალადობის სხვადასხვა ინტენსივობის იყო. მედიის რამდენიმე თანამშრომელმა უმძიმესი ფიზიკური დაზიანებები მიიღო და დასახიჩრდა[33].

ტვ „პირველის“ ოპერატორი ლექსო ლაშქარავა, რომელიც 5 ივლისს პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს ასევე გახდა სასტიკი ძალადობის მსხვერპლი, 11 ივლისს საკუთარ სახლში ღამით ოჯახის წევრებმა გარდაცვლილი იპოვეს[34]. ფორსირებული საგამოძიებო მოქმედებებისა და 5 ივლისს მიღებულ დაზიანებებთან ხელისუფლების მიერ კავშირის გადაფარვის მცდელობის მიუხედავად, დამაჯერებელი მტკიცებულებები, მათ შორის - სამედიცინო ექსპერტიზის საბოლოო შედეგები, შესაბამის ორგანოებს ამ დრომდე არ გამოუქვეყნებიათ.

5 ივლისს მოძალადეთა დაკავება დაიწყეს მას შემდეგ, რაც საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა ინციდენტებს და არაერთმა ადგილობრივმა თუ საერთაშორისო ორგანიზაციამ, თუ მეგობარმა ქვეყანამ მოუწოდა ხელისუფლებას, გამოეძიებინა ძალადობრივი დანაშაულები.

2021 წლის 6 ივლისს, სამოქალაქო საზოგადოების საპროტესტო ***„მდუმარე აქცია“*** 5 ივლისს განვითარებული მოვლენების გასაპროტესტებლად პარლამენტის წინ დაიგეგმა სპონტანურად, სხვადასხვა სამოქალაქო და პოლიტიკური ლიდერების და აქტივისტების მიერ. საღამოს 18:00 საათიდან, პარლამენტის წინ, თანდათან დაიწყო აქციით დაინტერესებული მოქალაქეების შეკრება. ამავე დროს, აქციით დაინტერესდნენ ჰომოფობიური, ძალადობრივი ჯგუფებიც. რადიკალური ჯგუფების წარმომადგენლების სამიზნეები ისევ ჟურნალისტები გახდნენ. 18:30 საათიდან რუსთაველის გაზირზე სიძულვილის ჯგუფები თავს დაესხნენ „პალიტრანიუსის” ჟურნალისტს ბექა მშვილდაძეს[35]. პოლიციამ რამდენიმე ადამიანი დააკავა[36].

20:00 საათისთვის აქციას შეუერთდნენ „თბილისი პრაიდის“ წარმომადგენლები. პარალელურად კონტრაქციის წარმომადგენლები იკრიბებოდნენ აქციის სიახლოვეს, რის გამოც პოლიციამ გააკეთა კორდონი აქციის მონაწილეთა გარშემო. 20:30 საათისთვის, კონტრაქციის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს, აქტივისტებს და შეკრების სხვა მონაწილეებს კვერცხები, ქვები, კენჭებით სავსე პლასტმასის ბოთლები, ფილაქნები და სხვა მყარი საგნები ესროლეს.

21:00 საათზე (დაახლოებით) პარლამენტის მიმდებარედ, ჩიტაძის ქუჩაზე ტრანგენდერ ქალს თავს დაესხნენ. სამართალდამცველებმა მოძალადეები არ დააკავეს და მხოლოდ რამდენიმე პირი

---

[31] საპატრიარქოს განცხადება სრულად: https://bit.ly/3hyFVzL
[32] იხ. ჟურნალისტების სია, რომლებსაც ძალადობრივი ჯგუფები თავს დაესხნენ: https://bit.ly/3yqBuNH
[33] იქვე.
[34] ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3xkURWY
[35] ***შენიშვნა***: ბექა მშვილდაძეს, ამ ძალადობრივ ინციდენტთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი, დიმიტრი ნოზაძე იცავს.
[36] ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3ytmrCC

გაიყვანეს ტერიტორიიდან[37].

სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა 21:30 საათის შემდეგ, დაახლოებით, 21:35 საათზე „თბილისი პრაიდის“ წარმომადგელებმა ლგბტქ+ დროშა გაშალეს და ფერადი ფეირვერკები გაუშვეს. ამან კონტრაქციის წარმომადგენლებში განსაკუთრებული აგრესია გამოიწვია. ამ დროიდან კონტრაქციის მონაწილეთა ქმედებები სრულად გასცდა მშვიდობიანი მანიფესტაციის ფარგლებს. თუკი აქამდე ამ ჯგუფში არსებული ცალკეული პირების და პირთა ჯგუფის აგრესიულ ქმედებებთან გვქონდა საქმე, დაახლოებით 20:30 საათიდან, კონტრაქციის მონაწილეებმა, ორგანიზებული და სისტემური თავდასხმები დაიწყეს. გახშირდა პოლიციის კორდონზე თავდასხმისა და მისი გარღვევის მცდელობები. აგრესიული ჯგუფის წევრების ჯგუფური თავდასხმებით, აგრეთვე - დემონსტრანტთა მიმართულებით ბლაგვი საგნების სროლით გაიზარდა მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა დაზიანების ფაქტები.

21:40 საათისთვის, კორნტაქციის მონაწილეები კორდონში მდგომ პოლიციელებს ჯგფურად დაესხნენ თავს, თვალებში გაურკვეველი წარმომავლობის სპრეი შეასხეს. ამ ფაქტის შემდეგ ადგილზე გამოჩნდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი, ვაჟა სირაძე, რომელიც უშუალოდ აქციიდან გასცემდა მითითებებს, რის შესაბამისადაც, ადგილზე სამართალდამცავთა რაოდენობა გაიზარდა[38]. ამავდროულად, კონტრაქციის მონაწილეებმა აქცია ყველა მხრიდან მოაქციეს ალყაში და მისი დატოვება მხოლოდ პარლამენტის შენობის მარცხნივ დატოვებული კორიდოდორიდან იყო შესაძლებელი.

ამ კორიდორში და მის გარეთ აქციიდან გასულ პირთა უსაფრთხოება არ იყო საკმარისად დაცული. აქციის დატოვებისას ადამიანებზე თავდასხმა განსაკუთრებით გახშირდა, რის გამოც ბევრი მსურველი დიდი ხნის განმავლობაში არიდებდა თავს აქციის დატოვებას. თუმცა, ადგილზე ყოფნაც შეუძლებელი გახდა, რადგან აქციის ორივე მხრიდან ძალადობრივი ჯგუფები ისროდნენ სხვადასხვა ბლაგვ ნივთს, მათ შორის - მოზრდილი ზომის ქვებს, კენჭებით სავსე ბოთლებს, სხვადახვა სახის გაურკვეველ ასაფეთქებელ მოწყობილობას. მოძალადეები თავს „ანას ბაღის მცველს" დაესხნენ[39]; აქციაზე ასევე პოეტი ირაკლი კაკაბაძე დაშავდა[40]. სპეცრაზმი რუსთაველის გამზირზე საკმაოდ დაგვიანებით, დაახლოებით 23:00 საათზე გამოჩნდა. ამ დროისათვის აქცია პრაქტიკულად დასრულებული იყო და სპეცრაზმი პარლამენტის წინ დარჩენილ მოქალაქეებს ეხმარებოდა ტერიტორიიდან უვნებლად გასვლაში[41]. სასწრაფო დახმარების მანქანები ახლოს არ იყვნენ მობილიზებულები.დაზარალებულთა დასახმარებლად ისინი ან ძალიან გვიან ან საერთოდ არ მისულან.

22:00 საათიდან, გავრცელდა ინფორმაცია, რომ შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტს რუსთაველის გამზირის მიმართულებით წყლის ჭავლის მანქანები და სპეცრაზმი მიჰყავდა. 23:00 საათზე რუსთაველის გამზირზე სპეცრაზმი მივიდა[42].

აქციაზე მყოფი ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები აქციიდან დაახლოებით 22:00 საათზე წამოვიდნენ. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებზე და მათთან ერთად აქციიდან წამოსულ ადამიანთა ჯგუფზე თავდასხმა პარლამენტის უკანა მხარეს გადაადგილებისას და ადგილიდან გასვლის მცდელობის დროს მოხდა. მოძალადეთა გარკვეული ჯგუფი, პოლიციელთა არასაკმარისი რაოდენობის გამო, თავისუფლად შეცვივდა ე.წ. „უსაფრთხო დერეფანში“, სადაც პოლიციელების წინასწარი მოწოდების და უსაფრთხოების გარანტიების გამო, გადაადგილდებოდა ხალხი. აქციის რამდენიმე მონაწილე აქაც გახდა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი.

---

[37] ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3xr6L1J

[38] ადამიანის უფლებათა ცენტრი, 6 ივლისს გამართული კონტრაქციის მონიტორინგის ანგარიში. ანგარიში მომზადებულია: 15.07.2021.

[39] იხ. ინფორმაცია: https://bit.ly/3xqjUIe

[40] იხ. ინფორმაცია: https://bit.ly/3xrXw1d

[41] ადამიანის უფლებათა ცენტრი, 6 ივლისს გამართული კონტრაქციის მონიტორინგის ანგარიში. ანგარიში მომზადებულია: 15.07.2021.

[42] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/37oveds

ძალადობრივი ჯგუფის წევრებმა მოსწავლეთა სასახლის გარშემო შემოვლებული სარემონტო კედელი გაანგრიეს, საიდანაც ქვებსა და ბოთლებს ისროდნენ. რადიკალურმა ჯგუფებმა დაარბიეს და დააზიანეს სამართალდამცველების მანქანებიც. 23:00 საათიდან რუსთაველზე ძალადობრივი ჯგუფის წევრების დაკავება აქტიურად დაიწყო. სამართლადამცველები ასევე ცდილობდნენ, მშვიდობიანი აქციის მონაწილეები უსაფრთხოდ გაეყვანათ ადგილიდან, ადგილზე სპეცრაზმთან ერთად წყლის ჭავლის მანქანებიც გამოჩნდნენ[43].

23:50 საათზე მშვიდობიანმა მოქალაქეებმა რუსთაველის გამზირი თანდათან დატოვეს, რის შემდეგაც პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია რადიკალურმა ჯგუფებმა დაიკავეს. მათ პარლამენტის წინ აღმართული ევროკავშირის დროშა ჩამოხსნეს და დახიეს[44]. ძალადობროვი, რადიკალური დაჯგუფებების წარმომადგენლები პარლამენტის წინ კიდევ დიდხანს იმყოფებოდნენ და ქაოტურად მოძრაობდნენ. შუაღამისას, დაახლოებით 01:00 საათზე ძალადობრივი ჯგუფები რუსთაველის გამზირზე უცხოელ ტურისტებს თავს დაესხნენ[45].

შსს-ს განცხადებით, 6 ივლისს პარლამენტის წინ გამართული აქციის მოწინააღმდეგედ შეკრებილი მოქალაქეების ნაწილის პროტესტი გასცდა გამოხატვის თავისუფლების და მშვიდობიანი შეკრების კანონით დადგენილ ფარგლებს. პირველი კლასიკური გიმნაზიის და ქაშვეთის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე შეკრებილი ადამიანების აქციამ მიიღო ძალადობრივი ხასიათი[46].

2. სამართალდამცავთა აუცილებლობა და პროპორციული რაოდენობა

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს აქვს როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური ვალდებულებები. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, უზრუნველყოს შეკრებისა და მანიფესტაციის დაუბრკოლებლად, ექსცესების გარეშე მიმდინარეობა. ამასთან, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ადგილზე მყოფი პოლიციელების რაოდენობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვისთვის აუცილებელი და დემონსტრანტთა რაოდენობის პროპორციული უნდა იყოს. ასევე, პოლიციის მიდგომა უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს და აქედან გამომდინარე, ეს მიდგომები უნდა იყოს პროპორციული, აუცილებელი[47].

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი მუხლი მე-3 მუხლთან ერთობლიობაში აკისრებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, მის იურისდიქციაში მყოფი ადამიანები მე-3 მუხლით აკრძალული ნებისმიერი ფიზიკური ძალადობისგან დაიცვას, მათ შორის - იმ შემთხვევაშიც, თუ ფიზიკურ ძალადობას კერძო პირები ახორციელებენ[48]. ეს ვალდებულება უნდა მოიცავდეს ეფექტურ დაცვას, მათ შორის - კონკრეტული პირის ან პირების დაცვას მესამე პირთა მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებებისგან დაუყოვნებლივ, ასევე - გონივრულ ზომებს, რომ აღიკვეთოს ფიზიკური ძალადობა, რომელიც ხელისუფლების ორგანოებისთვის ცნობილი იყო ან მათ ამის შესახებ უნდა სცოდნოდათ[49].

შეკრება-მანიფესტაციის დაშლის შემთხვევაში, ევროსასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, სახელმწიფომ პროპორციული ზომები უნდა გამოიყენოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ძალოვანმა სტრუქტურებმა შეკრების დაშლის ოპერაცია უნდა განახორციელონ, ოპერაცია უნდა შემუშავდეს ისე,

---

[43] ადამიანის უფლებათა ცენტრი, 6 ივლისს გამართული კონტრაქციის მონიტორინგის ანგარიში. ანგარიში მომზადებულია: 15.07.2021.
[44] ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3fxN2Y6
[45] ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3rT84Fr
[46] იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება: https://bit.ly/3y70WGV
[47] იხ. Human Rights Handbook on Policing Assemblies, გვ. 36.: https://bit.ly/3zdpNKD
[48] იხ.: A. v. the United Kingdom, 23 September 1998, § 22, მოხსენებები განაჩენებისა და გადაწყვეტილებების შესახებ 1998-VI).
[49] მაგალითისთვის იხ. T.M.and C.M. v. the Republic of Moldova, № 26608/11, 36-ე პარაგრაფი, 2014 წ. 28 იანვარი.

რომ აქციის მონაწილეებისადმი ზიანის მიყენების რისკი მინიმუმამდე დავიდეს[50].

ნამახვანჰესის მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციების შემთხვევაში, ხელისუფლება ცდილობს, სხვადასხვა ბარიერი შეუქმნას და ხელი შეუშალოს „რიონის ხეობის მცველების“ ლეგიტიმურ და მშვიდობიან სოციალურ პროტესტს. სახელმწიფო თავისი ხისტი, რეპრესიული და ძალადობრივი პოლიტიკის გასატარებლად სამართალდამცავ სისტემებს იყენებს და უხეშად არღვევს საქართველოს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტებით გარანტირებულ შეკრება/მანიფესტაციის, გამოხატვის, თავისუფალი მიმოსვლისა და გადაადგილების ფუნდამენტურ უფლებებს[51].

გარდა ზემოაღნიშნულისა, ნამახვანჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეთა დემონიზების მიზნით, არაერთი დისკრედიტაციული კამპანია მიმდინარეობს, მათ შორის ყველაზე გავრცელებული იყო კამპანია ქსენოფობიური განცხადებების თაობაზე, რასაც თითქოსდა „რიონის ხეობის მცველების“ ავრცელებდნენ თურქი ინვესტორის მიმართ. ამ კამპანიაში აქტიურად იყვნენ ჩართული როგორც მთავრობის და კომპანიის, ისე ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები.

ამავე დროს, 2021 წლის 2 ივლისს, მოძრაობამ „რიონის ხეობის გადარჩენისთვის” გაავრცელა განცხადება[52], რომელიც თბილისში დაგეგმილ „ღირსების მარშს“ ეხმაურებოდა და მას ემიჯნებოდა, როგორც „არატრადიციული ცხოვრების წესის პროპაგანდას“ და „სახელმწიფოსა და საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას“. გარდა ამისა, 5 ივლისს ამ მოძრაობის ლიდერები შეუერთდნენ „ღირსების მარშის“ წინააღმდეგ ძალადობრივი ჯგუფების მიერ გამართულ კონტრაქციას თბილისში, რომელიც იმთავითვე აშკარა იყო, რომ ჰომოფობიურ, ძალადობრივ შინაარსს და განზრახვას ატარებდა[53]. მიუხედავად ამისა, „რიონის ხეობის მცველები“ აცხადებდნენ, რომ ისინი, საქართველოს საპატრიარქოს მოწოდების გამო, მხოლოდ პარაკლისზე დასასწრებად შეუერთდნენ აქციას, ხოლო ძალადობას ემიჯნებოდნენ[54].

„რიონის ხეობის მცველების“ გადაწყვეტილება, შეერთებოდნენ დეკლარირებულად ძალადობრივ აქციას, მიუღებელი აღმოჩნდა მათი პროტესტის აქტიური მხარდამჭერი ორგანიზაციებისთვის - სოციალური სამართლიანობის ცენტრისთვის[55] და „მწვანე ალტერნატივისათვის[56]“, რის გამოც მათ „რიონის ხეობის მცველებთან“ კომუნიკაცია გაწყვიტეს, მაგრამ ნამახვანჰესის მშენებლობის წინააღმდეგ სამართლებრივ და პოლიტიკურ ბრძოლას აგრძელებენ.

2021 წლის 5 ივლისს, თბილისში გამართულ აქციაზე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები რამდენიმე ლოკაციაზე იმყოფებოდნენ. ძირითადად, შერჩეული იყო გარეთა პერიმეტრები. აქციის შუაგულში პოლიციელები არ იყვნენ, რის გამოც ძალადობრივ თავდასხმებზე რეაგირება არ იყო ეფექტიანი. განსაკუთრებით აღსანიშნი იყო პოლიციელთა რაოდენობის სიმცირე. პოლიციელები ჯგუფებად იდგნენ: 1) კინო „რუსთაველთან“; 2) ჩიტაძის ქუჩის დასაწყისში; 3) პირველ გიმნაზიასთან, კუთხეში, ჭიჭინაძის ქუჩის დასაწყისი; 4) ქაშვეთის ეკლესიის მიმდებარედ, 9 აპრილის ბაღის ჩასახვევთან. ასევე მანქანებით იყო გადაკეტილი თავისუფლების მოედანთან რუსთაველის გამზირი და სხვადასხვა მისასვლელი ქუჩები.

2021 წლის 6 ივლისს საქართველოს პარლამენტის წინ გამართული მდუმარე აქციის პარალელურად შეკრებილი ძალადობრივი ჯგუფების ქმედებების გათვალიწინებით, ადგილზე წარმოდგენილ სამართალდამცავთა რაოდენობა, განსაკუთრებით - აქციების დაწყებიდან რამდენიმე საათის განმავლობაში და შემდგომაც, იყო არასაკმარისი. ამიტომ პოლიციისკორდონები

[50] იხ.: Bubbins v the United Kingdom, judgment of 17 March 2005, 136-ე პარაგრაფი.
[51] იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრის შეფასება: https://bit.ly/3mlxxXg
[52] იხ. „რიონის ხეობის მცველების” განცხადება: https://bit.ly/36omC5M
[53] ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3xyx07g
[54] ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3k1xyi0
[55] იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრის განცხადება: https://bit.ly/36LjHV4
[56] იხ. „მწვანე ალტერნატივას“ განცხადება სრულად: https://bit.ly/3wWrTwm

რამდენჯერმე გაარღვიეს კონტრაქციის მონაწილეებმა, შეაღწიეს ხალხის მასაში და ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს აქციის მონაწილეებს. ამ ძალადობრივ ფაქტებზე სამართალდამცავები ცდილობდნენ რეაგირებას და რამდენჯერმე შეძლეს კორდონის შიგნით შეღწეული ადამიანების გაყვანა ან/და დაკავება. მიუხედავად ამისა, პოლიციელთა არასაკმარისიი რაოდენობის გათვალისწინებით და კონტრაქციის მონაწილეთა აგრესიულობის გამო, სულ უფრო შეუძლებელი ხდებოდა აქციის მონაწილეთა ადგილზე დარჩენა.

წინა წლების აქციებისგან განსხვავებით, მასშტაბური ძალადობრივი ფაქტების მიუხედავად, კონტრაქციაზე არ ყოფილა წარმოდგენილი სპეცრაზმი და არც სპეციალური საშუალებები. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები კი, როგორც აღინიშნა, პასიურობით გამოირჩეოდნენ, რაც გამოიხატა იმაშიც, რომ მათ ძალადობრივი ქმედებების შეწყვეტისკენ მკვეთრი განცხადებებიც არ გაუკეთებიათ.

სხვა აქციების შემთხვევაში, დემონსტრანტებსა და შეკრების ადგილზე მისულ საპოლიციო ძალებს შორის პროორპორციულობის ბალანსი მეტ-ნაკლებად დაცული იყო.

3. შეკრების მონაწილეთა დაკავების/დაჯარიმების პრაქტიკა

გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის და კარვების დაშლის გარდა, ნამახვანჰესის აქციის მონაწილეების მიმართ სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლები სხვა რეპრესიულ მეთოდებსაც იყენებდნენ, როგორიცაა - დაკავება და ჯარიმები.

2021 წლის 3 აპრილს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ნამოხვანის მიმართულებით გზების ჩაკეტვის შემდეგ, 12 ადამიანი, რომელიც რიონის ხეობაში ნამახვანჰესის მშენებლობას აპროტესტებდა, პოლიციამ სოფელ გუმათში, ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის გამო, 2000-2000 ლარით დააჯარიმა. ისინი გუმათში ავტომანქანებში ღამის გასათევად მას შემდეგ დარჩნენ, რაც სამართალდამცველებმა დღის განმავლობაში ნამოხვანში კარვების მიმართულებით გადაადგილების უფლება არ მისცეს და უკან დაბრუნების შესაძლებლობაც აღარ ჰქონდათ საკმარისი დროის გამო[57].

2021 წლის 4 აპრილს სოფელ ზარათის მაცხოვრებელი მირიან მაღლაფერიძე, რომელიც გვერდით სოფელში (მოფურჩხეთში) მაღაზიაში პურის საყიდლად გადაადგილდებოდა, პოლიციამ მას შემდეგ შეაჩერა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა მოსთხოვა, რაც იგი სოფელში დიდი რაოდენობით პოლიციელების მობილიზების შესახებ ტელეფონით ვიდეოს იღებდა. პოლიციის მოთხოვნაზე მაღლაფერიძემ უპასუხა, რომ მშობლიურ სოფელში პირადობის მოწმობას თან არ ატარებს. მას შემდეგ კი, რაც პურის საყიდლად გადაადგილებაზე პოლიციისგან უარი მიიღო, სამართალდამცავებს პურის შეძენა სთხოვა, რაც პოლიციამ შეურაცხყოფად მიიღო და იგი წვრილმანი ხულიგნობისა და დაუმორჩილებლობის მუხლებით დააკავეს[58].

2021 წლის 9 აპრილს სოფელ ნამოხვანში, პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საფუძვლით, დააკავეს პროტესტის მონაწილე ლაშა ქუთათელაძე. სასამართლო პროცესზე პოლიციელმა განმარტა, რომ ქუთათელაძის მიერ სამართალდარღვევის ჩადენა რიონის ხეობაში გადაადგილებაში გამოიხატა. ამ შემთხვევაში მოსამართლემ ლაშა ქუთათელაძე ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად არ ცნო და დარბაზიდან გაათავისუფლა[59].

2021 წლის 14 აპრილს სოფელ გუმათში მიმდინარე საპროტესტო აქციაზე პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის 6 პირი დააკავა. შსს-ს განცხადებით, პოლიციის მიერ არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, აქტივისტებმა არ გაათავისუფლეს გზის სავალი ნაწილი, არ

[57] ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3qB4waf
[58] ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3jwb3S4
[59] ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3w7Bosh

დაემორჩილნენ პოლიციის კანონიერ მოთხოვნებს, რის შემდეგაც პოლიციამ გამოიყენა იძულების პროპორციული ღონისძიებები[60].

2021 წლის 27 მაისს სოფელ გუმათში, სადაც რკინის ბარიერები იყო აღმართული, ნამახვანჰესის მოწინააღმდეგეებსა და პოლიციას შორის დაპირისპირება მოხდა. ნამახვანჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეები ბარიერებზე ხელების დარტყმითა და ხმაურით პროტესტს გამოხატავდნენ, ამავდროულად ბარიერებს მიღმა გადასვლას და სოფელ ნამახვანისკენ წასვლას ცდილობდნენ, რისი უფლებაც მათ ადგილზე მობილიზებულმა პოლიციამ არ მისცა. დაპირისპირებისას სამართალდამცველებმა „რიონის ხეობის მცველების“ 8 წარმომადგენელი დააკავა ადმინისტრაციული წესით[61]. დაკავებული აქტივისტები 28 მაისს გაათავისუფლეს[62].

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიხედვით, პირის დაკავება, ლეგიტიმურ შეკრებაში მონაწილეობის გამო მისი დასჯის მიზნით, მიჩნეული იქნება თვითნებურად და გაუმართლებლად[63]. შეკრების მონაწილეებისათვის გაუმართლებელი და არაპროპორციულად მაღალი სანქციების დაკისრებამ შესაძლოა, მსუსხავი ეფექტი იქონიოს შეკრების მონაწილეებზე და გაუტოლდეს შეკრების უფლების არაპირდაპირ შეზღუდვას.

ნამახვანჰესის წინააღმდეგ მიმართული პროტესტის დროს, დემონსტრანტთა წინააღმდეგ გამოყენებული ადმინისტრაციული დაკავებები და ადმინისტრაციული ჯარიმები არსებითად დაუსაბუთებელი იყო და მიმართული იყო არა საზოგადოებრივი წესრიგისა და მშვიდობის უზრუნველსაყოფად, არამედ საპროტესტო მუხტის შემცირებისკენ.

4. 5-6 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებული სამართალწარმოება

შსს-ს ოფიციალური ინფორმაციით, 2021 წლის 5 ივლისს ადმინისტრაციული წესით დააკავეს 100 პირი, დაკავებული პირებიდან კი 68 ხელწერილის საფუძველზე მალევე გაათავისუფლეს[64]. 5 აგვისტოს მონაცემებით კი, ინდივიდუალური ძალადობისა და პროფესიული საქმიანობისთვის ხელშეშლის ცალკეულ ეპიზოდებზე სისხლის სამართლის წესით დაკავებულია 31 პირი[65]. აღსანიშნია, რომ სამართალდამცავ ორგანოებს ამ დრომდე არ აქვთ გამოძიება დაწყებული შეკრების უფლების ხელყოფის ფაქტებზე (სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლი)[66], მაშინ როცა აღნიშნული დანაშაულის ნიშნები ცალსახად არსებობდა 5-6 ივლისის მოვლენების დროს და ამ ქმედებებს ჰქონდა კარგად ორგანიზებული ხასიათი.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაშია 16 საქმე, რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებისადმი განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებსა და ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლას შეეხება. 2021 წლის 5 აგვისტომდე, დანაშაულიდან 1 თვის თავზე, მხოლოდ 9 პირს აქვს დაზარალებულის სტატუსი[67].

სამწუხაროდ, საგამოძიებო ორგანოების მხრიდან დღემდე არ მომხდარა ძალადობრივ ქმედებებში ჩართული ყველა პირის იდენტიფიცირება და შესაბამისად, არ დაწყებულა ძალადობრივი ქმედებების ორგანიზატორთა სისხლისსამართლებრივი დევნა.

---

[60] ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/2TrjVNY
[61] ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3h83Upu
[62] ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/36baVPL
[63] European Commission for Democracy through law (Venice Commission) and OSCE office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR) guidelines on freedom of peaceful assembly (3rd Edition), Strasbourg/Warsaw, 8 July 2019, para 36. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე: https://bit.ly/3ydLgSu
[64] შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება: https://bit.ly/2WPtTtU
[65] შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება: https://bit.ly/3Ac9Bcp
[66] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 161. https://bit.ly/3lEsXDj
[67] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: https://bit.ly/3AcjJC7

5. სხვა საპროტესტო აქციების მონიტორინგი

2021 წლის 3 თებერვალს ულტრანაციონალისტურმა ორგანიზაციამ **„ქართულმა მარშმა“** საპროტესტო აქცია გამართა პრეზიდენტის სასახლესთან. დემონსტრაციის მიზეზად დასახელდა აზერბაიჯანის მიერ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსისკენ მიმავალი საავტომობილო გზის მშენებლობა და აზერბაიჯანელი სამხედროების მიერ დავით გარეჯის იმ გამოქვაბულების დაკავება, სადაც ადრე ქართველი მღვდლები ცხოვრობდნენ.

დემონსტრაციაში, დაახლოებით, 100-150 ადამიანი მონაწილეობდა, ძირითადად - მამაკაცები. დემონსტრაციაზე „ქართული მარშის” ერთ-ერთმა ლიდერმა, სანდრო ბრეგაძემ, საქართველოს პრეზიდენტს, სალომე ზურაბიშვილს, არაკომპეტენტურობაში, მოღალატეობაში და საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ტერიტორიული დავის ინსპირირებაში დასდო ბრალი. მან ასევე განაცხადა 1 000 კაცის მობილიზაციის შესახებ, რომლებიც არ დაემორჩილებოდნენ საქართველოს სასაზღვრო კონტროლის ძალებს და საჭიროების შემთხვევაში, ძალით შევიდოდნენ დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე.

სანდრო ბრეგაძის განცხადების პარალელურად, ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გაბედავა და რამდენიმე მხარდამჭერი ცდილობდნენ, ძალის გამოყენებით შესულიყვნენ საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში. ამ ფაქტზე გიორგი გაბედავა პოლიციამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დააკავა, რაზეც დემონსტრანტებმა ძალადობრივი რეაქციით უპასუხეს. ისინი პოლიციის ავტომობილის შეჩერებას ძალის გამოყენებით ცდილობდნენ და სამართალდამცავებს მონებს ეძახდნენ.

ღონისძიების დასაწყისში შეკრებას 20-მდე პოლიციელი არეგულირებდა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა, როდესაც „ქართული მარშის“ მომხრეებმა ძალის გამოყენებით საპრეზიდენტო სასახლეში შესვლა სცადეს. რაოდენობრივი სიმცირის გამო, სამართალდამცველებს გაუჭირდათ როგორც სასახლეში შეჭრის მსურველთა შეკავება, ისე სამართალდამრღვევების დაკავება.

აქციის ბოლოს, 2 დემონსტრანტის დაკავების შემდეგ, პოლიციელთა რაოდენობა გაიზარდა. აგრეთვე, ადგილზე დამატებით მივიდა საპატრულო პოლიციის 3 მიკროავტობუსი. აქციის დასაწყისში ადგილზე მიკროავტობუსი მხოლოდ 1 (რითაც დაკავებულები წაიყვანეს), ხოლო სტანდარტული საპატრულო მანქანა 3 იყო[68].

2021 წლის 6 თებერვალს, სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიას“ წინასწარ დაანონსებული აქცია **„დაუმორჩილებლობის მარში”** გაიმართა. წინასწარ გამოცხადდა ფეხით მსვლელობის მიმართულება - რუსთაველის გამზირიდან (პარლამენტის შენობა) დედაენის ბაღამდე (დანიშნულების ადგილი).

აქციის მიზანი და მონაწილეთა მოთხოვნა იყო მთავრობის დაუსაბუთებელი პოლიტიკური შეზღუდვების მოხსნა - კომენდანტის საათის გაუქმება, რეგულაციების მოხსნა და კრიზისის მართვის გეგმა. აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ ეს შეზღუდვები არ ემსახურებოდა კორონავირუსთან ბრძოლას, არამედ პირდაპირ ურტყამდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. დემონსტრაციაში, დაახლოებით, 300-მდე ადამიანი მონაწილეობდა. აქციაზე წარმოდგენილი იყო 30-მდე საპატრულო პოლიციის მანქანა და რამდენიმე ასეული პოლიციის თანამშრომელი. ისინი დემონსტრანტებს არ აძლევდნენ შესაძლებლობას, ტროტუარიდან სამანქანო გზაზე გადასულიყვნენ. ამ აქციაზე ერთ-ერთი პირი, ვინც მსვლელობას ჩამორჩა, კოვიდრეგულაციების დარღვევის გამო,

[68] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში - ქართული მარშის ძალადობრივი დემონსტრაცია პრეზიდენტის სასახლესთან. ანგარიში მომზადებულია: 03.02.2021.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე, 2000 ლარით დააჯარიმეს[69].

2021 წლის 21 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის წინ გამართულ შეკრებაზე, რომელიც **,,კონსტიტუციის მიღების 100 წლისთავს"** ეძღვნებოდა, 8 აქტივისტი დააკავეს, კარვების გაშლის მცდელობის გამო. შეკრებაში მონაწილეთა რაოდენობა 45-50 ადამიანს არ აღემატებოდა. რაც შეეხება სამართალდამცველებს, ისინი არაპროპორციული რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი. საერთო ჯამში, პარლამენტის წინ, მიმდებარედ, მანქანებში, მათი რიცხვი 50-ს აჭარბებდა. შეკრებაში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ[70].

2021 წლის 23 თებერვალს, 15:00 სთ-ზე, ოპოზიციური ლიდერების მიერ მთავრობის კანცელარიასთან დაანონსდა საპროტესტო აქცია - **,,არა საბჭოთა რეჟიმს".** აქციაზე გაჟღერდა 2 მოთხოვნა - ნიკა მელიას გათავისუფლება პატიმრობიდან და რიგგარეშე არჩევნების ჩანიშვნა. აქციის დაწყებამდე კანცელარიასთან მობილიზებული იყო შსს-სპოლიციის დანაყოფები, ხოლო საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გაავრცელა განცხადება თბილისის შემოსასვლელებთან არსებული შეზღუდვების შესახებ ამინდის გაუარესების მიზეზით. მოგვიანებით დემონსტრანტებმა რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის წინ გადაინაცვლეს. აქცია მშვიდობიან ხასიათს ატარებდა. აქციაში მონაწილეთა რაოდენობა არ აღემატებოდა 100 ადამიანს. სამართალდამცველების მხრიდან შეკრების მონაწილეების მიმართ ხელშეშლა არ გამოვლენილა, მათ შორის - არც პარლამენტის წინ კარვების დადგმისას. უშუალოდ შეკრების ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის 20-მდე, ხოლო კანცელარიის ქვედა მხარეს არსებულ პატარა სკვერში, 60-მდე მანქანა. აქცია ბოლომდე მშვიდ ვითარებაში წარიმართა, დაპირისპირებას და პროვოკაციას ადგილი არ ჰქონია[71].

2021 წლის 9 მარტს გაიმართა სამოქალაქო მოძრაობა „საქართველოსთვის" მიერ ორგანიზებული აქცია **„გამოდი ღირსებისთვის"**. აქციის მონაწილეები, თავდაპირველად, შეიკრიბნენ საქართველოს პარლამენტთან. შემდეგ დაიძრნენ საქართველოს მთავრობის კანცელარიისაკენ, სადაც მივიდნენ 15:00 საათისათვის. მსვლელობის პარალელურად, მონაწილეებს ჩართული ჰქონდათ ბერა ივანიშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილის სატელეფონო დიალოგი, სადაც ისინი ფეისბუქკომენტარის გამო სკოლის მოსწავლეზე განხორციელებულ ძალადობრივ ანგარიშსწორებას განიხილავენ.

შეკრებილთა მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომა და გავრცელებულ აუდიოჩანაწერთან დაკავშირებით ობიექტური გამოძიების ჩატარება. საქართველოს მთავრობის კანცელარიის შენობას, ცოცხალი ჯაჭვით, იცავდნენ პოლიციელები. აქციის დასასრულს, შეკრებილებმა ფურცლებზე დაწერეს **„გადადგეს ჰაკიმფაშა"** და მთავრობის ადმინისტრაციაში დატოვეს. აქციის ორგანიზატორების განცხადებით, მსგავსი ტიპის შეკრებები გაგრძელდება, სანამ თითოეული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება. აქციის მონაწილეთა რაოდეონა არ აღემატებოდა 100 ადამიანს[72].

2021 წლის 14 მარტს ქუთაისში ნამახვანჰესის მშენებლობის საწინააღმდეგო აქცია გაიმართა, რომელშიც, დაახლოებით, 22000-მდე ადამიანი მონაწილეობდა. აქცია, მიუხედავად დიდი მასშტაბებისა, მშვიდ ვითარებაში წარიმართა. აქციის მონაწილეებს რაიმე ბარიერების საშუალებით არ გადაუკეტავთ გზა. აქციაში მონაწილეთა მრავალრიცხოვნობიდან გამომდინარე, ქუთაისის ცენტრალური მოედნის ყველა მხრიდან შესასვლელში მოძრაობა შეჩერდა. აქციაზე არ მომხდარა

---

[69] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში, აქცია - ,,დაუმორჩილებლობის მარში". ანგარიში მომზადებულია: 06.02.2021.

[70] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში, შეკრება- ,,კონსტიტუციის მიღების 100 წლის თავი". ანგარიში მომზადებულია: 21.02.2021.

[71] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში, აქცია - ,,არა საბჭოთა რეჟიმს" შესახებ. ანგარიში მომზადებულია: 23.02.2021.

[72] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში, აქცია - ,,გამოდი ღირსებისთვის" შესახებ. ანგარიში მომზადებულია: 09.03.2021.

ძალადობრივი ინციდენტები. არც სამართალდამცველებსა და აქციაში მონაწილეთა შორის არ გამოვლენილა დაპირისპირების შემთხვევები[73].

გარდა ზემოაღნიშნულისა, სხვა აქციები[74], რომლებიც მოექცა ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ქვეშ, მათ შორის - რადიკალური ჯგუფების[75] მიერ ორგანიზებული, ატარებდა მშვიდობიან ხასიათს. შეიძლება ითქვას, რომ როგორც დემონსტრანტთა, ისე სამართალდამცავთა ქმედებებიც ლეგიტიმური იყო და ექცეოდა როგორც ეროვნული კანონდებლობის, ისე ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების ფარგლებში.

დასკვნა

2021 წლის საანგარიშო პერიოდში გამართული აქციების მონიტორინგის ანგარიშების შეფასების, იდენტიფიცირებულ სამართალდარღვევათა ანალიზის, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ქმედებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ აქციების უმრავლესობაში, არ იყო დაცული შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლების უფლება და შესაბამისი სტანდარტები.

რიგ შემთხვევებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორთა მიერ იდენტიფიცირებულ შემთხვევათა შორის დაფიქსირდა სამართალდამველთა არაპროპორციული ძალის მობილიზების, დაკავების, ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენებისა და დაჯარიმების არაერთი ფაქტი. უახლოესი წარსულის მაგალითები კიდევ უფრო ამძაფრებს სახელმწიფოს მიერ ბალანსის დაცვის პრობლემას შეკრების თავისუფლებასა და საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას შორის. აქციის მონაწილეებს კვლავ ერთმევათ დროებითი კონსტრუქციების (მათ შორის - კარვების) განთავსების შესაძლებლობა, რაც შეკრების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას წარმოადგენს.

ნამახვანჰესის მშენებლობის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით, მრავალრიცხოვანი საპოლიციო ძალის მობილიზებით, დაუსაბუთებელი შეზღუდვების დაწესებით და ადგილობრივების უფლებების უხეში დარღვევით, ხელისუფლებამ თავად შეუწყო ხელი პროცესის ესკალაციას და საგნობრივი, კონსტრუქციული დიალოგის სივრცე არ დატოვა. ამას თან ერთვის თვითნებურად და გაუმართლებლად დემონსტრანტთა დაკავების არაერთი შემთხვევა, ლეგიტიმურ შეკრებაში მონაწილეობის გამო, მათი დასჯის მიზნით, რაც მეტად მეტად ამწვავებს საზოგადოებრივ პროტესტს და ხელს უწყობს პროცესების ესკალაციას. ხელისუფლება და მასთან დაკავშირებული აქტორები აქტიურად ცდილობენ სოციალური შინაარსის პროტესტების დემონიზებას, რის გამოც კონსტრუქციული დიალოგის სივრცეს აღარ რჩება.

როგორც მონიტორინგმა აჩვენა, უმეტესწილად, სამართალდამცველები შეკრების მონაწილეთა ქმედებებზე შერჩევითი სამართლიანობის პრინციპით რეაგირებდნენ. მაგალითად, როდესაც სამართალდამცველებმა სამოქალაქო მოძრაობების აქტივისტებს აქციაზე ღობეებზე პლაკატების გაკვრის, ადგილზე შეშის შეტანის ან/და დროებითი კონსტრუქციების განთავსების უფლება არ მისცეს, ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული გაერთიანების წევრების გაცილებით ინტენსიურ

---

[73] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში, აქცია ნამახვანჰესის მშენებლობის წინააღმდეგ, ქ. ქუთაისი. ანგარიში მომზადებულია: 14.03.2021.

[74] ***მაგალითად: 1)*** *აქცია - ,,გაუქმდეს კომენდატის საათი".* ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში: 03.04.2021; *2) აქცია - ,,ნამოხვანჰესის მშენებლობის წინააღმდეგ", თბილისი, რესპუბლიკის მოედანი.* ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში: 23.05.2021; *3) აქცია -,,გადადგეს მკვლელი მთავრობა", თბილისი, საქართველოს პარლამენტის წინ.* ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში: 17.07.2021.

[75] ***მაგალითად:*** *ულტრანაციონალისტური ორგანიზაციების: „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოებისა" და ახალგაზრდული ცენტრი „ზნეობას" მიერ, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის შენობასთან ორგანიზებული აქცია, სადაც ისინი „ღირსების მარშის" გაუქმებასა და საქართველოში ევროკავშირის ელჩის, კარლ ჰარცელისა და ამერიკის ელჩის, კელი დეგნანის გაძევებას საქართველოდან და მათი „პერსონა ნონ გრატად" გამოცხადებას მოითხოვდნენ.* ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგს ანგარიში: 30.06.2021. ***შენიშვნა***: ამ აქციას, ჯამში, 20-მდე ადამიანი ესწრებოდა.

სამართალდარღვევებზე, მათ შორის - სავარაუდო სისხლის სამართლის დანაშაულებზე, სათანადო რეაგირება დღემდე არ აქვთ.

განსაკუთრებით საგანგაშო ფაქტია 2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენები. კონტრაქციებზე ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის უპრეცედენტო მასშტაბი დაფიქსირდა. 5 ივლისს მოძალადეთა დაკავება კი მას შემდეგ დაიწყეს, რაც საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა ინციდენტებს და არაერთმა ადგილობრივმა თუ საერთაშორისო ორგანიზაციამ, თუ მეგობარმა ქვეყანამ მოუწოდა ხელისუფლებას, გამოეძიებინა ძალადობრივი დანაშაულები.

სამართალდამცავ უწყებებს დღემდე ძალადობის არცერთი ორგანიზატორი არ დაუკავებია, მიუხედავად იმისა, რომ ცალსახად გამოიკვეთა - სამოქალაქო აქტივისტების, სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების მისამართით ფიზიკურ ძალადობას და პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლას, მიზანმიმართული და კარგად ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა.

მასშტაბური ძალადობრივი ფაქტების მიუხედავად, 5-6 ივლისის ძალადობრივ კონტრაქციებზე არ ყოფილა წარმოდგენილი სპეცრაზმი და არც სპეციალური საშუალებები. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები კი პასიურობით გამოირჩეოდნენ, რაც გამოიხატა იმაშიც, რომ მათ ძალადობრივი ქმედებების შეწყვეტისაკენ არათუ კონკრეტული ეფექტური ნაბიჯები გადაუდგამთ, არამედ მკვეთრი განცხადებებიც არ გაუკეთებიათ.

შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზატორებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა მრავალრიცხოვანი აქციების მიმდინარეობისას შეკრების მონაწილეთა მხრიდან Covid-19-თან დაკავშირებით დაწესებული რეგულაციების დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ აქციის ორგანიზატორები ძირითადად იღებდნენ ვირუსის პრევენციისათვის აუცილებელ ზომებს, მრავალრიცხოვანი აქციების შემთხვევაში, ფიზიკური დისტანცია დაცული არ იყო. ხშირად აქციის მონაწილეებს პირბადეები საერთოდ არ ანდა არასწორად ეკეთათ.

რეკომენდაციები:

სამართალდამცავ ორგანოებს:

- *შინაგან საქმეთა სამინისტრომ პატივი უნდა სცეს მშვიდობიანი შეკრების კონსტიტუციურ უფლებას, რომელიც მოქალაქეებს კონსტიტუციით აქვთ გარანტირებული, რაც, თავის მხრივ, შეიძლება, გავლენას ახდენდეს მიმდინარე დემოკრატიულ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ პროცესებზე, იწვევდეს მთავრობის ან მისი წევრის გადადგომას, პოლიტიკური წყობილების ან მმართველობის ფორმის შეცვლასაც კი;*

- *შესაბამისმა უწყებებმა შეისწავლონ მშვიდობიანი შეკრების უფლების შეზღუდვის ფაქტები და მოახდინონ შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება;*

- *მსს-მ უნდა შეცვალოს მშვიდობიანი შეკრებების დროს კარვების/სხვა კონსტრუქციების გაშლის შეზღუდვის უკანონო და თვითნებური პრაქტიკა;*

- *საგამოძიებო პროცესი წარიმართოს სრულყოფილად და ობიექტურად, 5-6 ივლისს განხორციელებულ ძალადობრივ მოვლენებში მონაწილე ყველა პირის იდენტიფიცირების, ამ ქმედებების ორგანიზატორთა დადგენისა და მათდამი სისხლისსამართლებრივი დევნის ჯეროვნად განხორცილების მიზნით.*

- *აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლება შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების უზრუნველსაყოფად პოზიტიური ვალდებულების სათანადოდ შესრულების მიზნით.*

საქართველოს მთავრობას:

- *შეწყვიტოს როგორც გამოხატვის, ისე მიმოსვლის თავისუფლების დაუსაბუთებელი, არაპროპორციული და თვითნებური შეზღუდვა, „რიონის ხეობის მცველებს“ მისცეს მშვიდობიანი გზებით პროტესტის გამოხატვის შესაძლებლობა, ხოლო პრობლემის მოგვარებისთვის მოსახლეობასთან შინაარსობრივი დიალოგის გზა აირჩიოს;*

- *ხელი შეუწყოს 5-6 ივლისს განხორციელებული, წინასწარ დაგეგმილი და კარგად ორგანიზებული ძალადობრივი ქმედებების და მედიის წარმომადგენლებზე განხორციელებული შტურმის ორგანიზატორთა ვინაობის დადგენას, ასევე - ამ ძალების დამფინანსებელი ორგანიზაციებისა თუ ფიზიკური პირების გამოაშკარავებას;*

- *პროცესის გაჭვირვალობისა და ეფექტიანობის გასაზრდელად, უზრუნველყოს პარლამენტის ბაზაზე მულტიფრაქციული საპარლამენტო კომისიის შექმნა და გაზარდოს პარტნიორი სახელმწიფოების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობა, გამოძიების ეფექტურად წარმართვის მიზნით;*